## საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/101 „6" ივნისი 2008 წ.

# გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

## „თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების, რაიონული (საქალაქო) სასამართლოების აპარატების სტრუქტურისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 29 აგვისტოს №1/158-2007 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

1. „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტისა და „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, „თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების, რაიონული (საქალაქო) სასამართლოების აპარატების სტრუქტურისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 29 აგვისტოს №1/158-2007 გადაწყვეტილებით დამტკიცებული სტრუქტურისა და საშტატო ნუსხის III ნაწილში (რაიონული (საქალაქო) სასამართლოების აპარატების სტრუქტურა და საშტატო ნუსხა) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) მე-40 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„40. სენაკის რაიონული სასამართლოს აპარატის სტრუქტურა და საშტატო ნუსხა**

| აპარატის მოხელეთა და დამხმარე მოსამსახურეთა საშტატო ერთეულის (თანამდებობის) დასახელება | საშტატო ერთეულის რაოდენობა |
|---|---|
| 1. მოსამართლის თანაშემწე | 2 |
| 2. კანცელარიის გამგე (მთავარი სპეციალისტი) | 1 |
| 3. წამყვანი სპეციალისტი | 1 |
| 4. სხდომის მდივანი | 2 |
| 5. მანდატური | 3 |
| 6. კურიერი | 1 |
| 7. დამხმარე მოსამსახურე (დამლაგებელი) | 1 |

სულ 11.";

ბ) 44-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„44. ფოთის საქალაქო სასამართლოს აპარატის სტრუქტურა და საშტატო ნუსხა**

| აპარატის მოხელეთა და დამხმარე მოსამსახურეთა საშტატო ერთეულის (თანამდებობის) დასახელება | საშტატო ერთეულის რაოდენობა |
|---|---|
| 1. მოსამართლის თანაშემწე | 4 |
| 2. კანცელარიის გამგე (მთავარი სპეციალისტი) | 1 |
| 3. წამყვანი სპეციალისტი | 1 |
| 4. სპეციალისტი | 2 |
| 5. სხდომის მდივანი | 4 |
| 6. მანდატურის სამსახურის უფროსი | 1 |
| 7. მანდატური | 7 |
| 8. კურიერი | 2 |
| 9. თარჯიმანი | 1 |
| 10 დამხმარე მოსამსახურე (დამლაგებელი) | 2 |

სულ 25.“.

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს 2008 წლის 9 ივნისიდან.

გიორგი ხიზანიშვილი

საბჭოს მდივნის მოვალეობის შემსრულებელი